დანართი №2

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

2025 წლის 1 იანვარი - 30 ივნისის მდგომარეობით

შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ – (30 08)
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)**

პროგრამის განმახორციელებელი - **შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“**

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
						17 818, 9

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

გადაუდებელი დახმარების ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“

2025 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორებმა **1 896 242** ზარს უპასუხეს. მიღებული ზარები დამუშავდა და საჭიროებისამებრ გადაეცა შესაბამის მომიჯნავე სამსახურებს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრის მიერ ჯამში გადამზადდა - 313 პირი.

- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ - „112“-ში მისაღებ კანდიდატთა საბაზისო ტრენინგი – 18 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ,,კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი“ – 37 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთათვის ტრენინგი ,,საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, დისციპლინური წესდება და შრომის შინაგანაწესი“ - 17 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,პირველადი სამედიცინო გადაუდებელი დახმარების შემსწავლელი კურსი“ – 103 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა გადამზადება ,,სტრესისა და ემოციების მართვის” მიმართულებით - 29 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,ზარის მართვა“ – 9 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები და ტერიტორიული მოწყობა“ - 9 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „სუიციდის პრევენცია და კრიზისული ზარის მართვა“ – 17 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა ტრენინგი ,, ეფექტური კომუნიკაცია/სერვის პლიუსი“ – 12 მონაწილე;

- ✓ შსს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მოქალაქეთა საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლეთა ტრენინგი ,,ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“ – 12 მონაწილე;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლების (ოჯახის ექიმები) ტრენინგი ,,ERC კლიენტის ფუნქციონალი და მისი გამოყენება სამუშაო პროცესში“– 50 მონაწილე;

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდა - 187 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა და 31 ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ამოქმედდა 28 სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს 90კმ-ს. ჯამურად, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟებულია - 8552 ვიდეოკამერა, საიდანაც, 6092 არის ზოგადი ხედვის, ხოლო, 2460 ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ქვეყნის მასშტაბით ამოქმედებულია - 648 სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს 2247კმ-ს;

ელექტრონული მონიტორინგის სისტემა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაუწესდა - 23 მოძალადეს. ხოლო სასამართლოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაკანონდა 20 შემთხვევაში.

კერძო დაცვითი საქმიანობა

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მიერ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაიცა 1 (ერთი) კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზია.

ინფრასტრუქტურული პროექტები

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, მიმდინარეობს დამატებითი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, ხოლო 112-ის მოსამსახურეთათვის განკუთვნილი საპარკინგე სივრცის მოწყობა დასრულებულია.